საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო

სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორი

ბრძანება

30 09 2019 წ. № 252 ქ. თბილისი

მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმის 2019 წლის წარმოების დაფინანსების კონკურსზე (კონკურსი №2/3) შემოტანილ პროექტთა შეფასების წესის დამტკიცების თაობაზე

სსიპ-კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის საექსპერტო კომისიის დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტისა და სსიპ - საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დებულების მე-4 მუხლის მე-7 პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს თანდართული „მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმის 2019 წლის წარმოების დაფინანსების კონკურსზე (კონკურსი №2/3) შემოტანილ პროექტთა შეფასების წესი".
2. დაევალოს საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის (შემდგომში- კინოცენტრი) პიარ მენეჯერს გვანცა ზაქარეიშვილს უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების კინოცენტრის ვებ-გვერდზე განთავსება.
3. ბრძანება ძალაშია კინოცენტრის ვებ გვერდზე გამოქვეყნებისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

დირექტორი გაგა ჩხეიძე

ვამტკიცებ
საქართველოს კინემატოგრაფიის
ეროვნული ცენტრის დირექტორი
_____ გ. ჩხეიძე
„ 30 „ 09 2019 წელი

მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმის 2019 წლის წარმოების დაფინანსების კონკურსზე (კონკურსი №2/3) შემოტანილ პროექტთა შეფასების წესი

1. სსიპ - საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორის 2019 წლის 20 ივნისის #134 ბრძანებით გამოცხადებული მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმის 2019 წლის წარმოების დაფინანსების კონკურსზე (კონკურსი#2/3) შემოტანილ პროექტებს განიხილავს სსიპ – საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ეროვნული კინოცენტრი) საექსპერტო კომისია, რომელიც შედგება 5 წევრისგან.
2. საექსპერტო კომისიის წევრები ეცნობიან №2/3 კონკურსზე შემოტანილ პროექტებს (სცენარებსა და სხვა დოკუმენტაციას), რის შემდეგაც დათქმულ დროს დგება პროექტების პრეზენტაცია და გასაუბრება თითოეული პროექტის ავტორებთან, ამის შემდეგ კომისიის წევრები კომისიის სხდომაზე აფასებენ პროექტებს დანართი 1–ით განსაზღვრული ფორმით 1-დან 5 ქულამდე.
3. კომისიის წევრების მიერ დაწერილი ქულები, ასევე იწერება დანართი 2–ით დადგენილ ფორმაში.
4. საბოლოო შედეგი მიიღება ქულათა დაჯამების შედეგად, საექსპერტო კომისია კონკურსის შედეგებს ეროვნულ კინოცენტრს წარუდგენს დასკვნის სახით.
5. საექსპერტო კომისია რეკომენდაციას აძლევს ეროვნულ კინოცენტრს დააფინანსოს ის პროექტები, რომლებიც მიიღებენ ქულათა მაქსიმუმს.
6. ეროვნული კინოცენტრი საექსპერტო კომისიის დასკვნის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას დასაფინანსებელი პროექტების რაოდენობის თაობაზე და განსაზღვრავს თითოეული პროექტისთვის დაფინანსების ოდენობას.

<u>პროექტის შეფასება</u>

პროექტის შეფასება გულისხმობს კომისიის წევრების მიერ თითოეულ პუნქტში მოცემული კითხვის ხუთქულიანი სისტემით შეფასებას და სპეციალურ გრაფაში კომენტარის გაკეთებას.

1. შეაფასეთ ფილმის სცენარი

	5	4	3	2	1
• შეაფასეთ ფილმის სცენარი					
გთხოვთ, წერილობით წარმოადგინოთ თქვენ მიერ მინიჭებული ქულების არგუმენტაცია					

2. რეჟისორის შეფასება

	5	4	3	2	1
• რეჟისორის ხედვა					
გთხოვთ, წერილობით წარმოადგინოთ თქვენ მიერ მინიჭებული ქულების არგუმენტაცია					

3. პროდუსერის შეფასება

	5	4	3	2	1
• პროდუსერის მოტივაცია					
გთხოვთ, წერილობით წარმოადგინოთ თქვენ მიერ მინიჭებული ქულების არგუმენტაცია					

4. პერსონაჟები და ფილმის ვიზუალური კონცეპტის შეფასება

	5	4	3	2	1
• პერსონაჟის დიზაინი ფერში (პერსონაჟის ხასიათი და ვიზუალური სტილი) • პერსონაჟების ჩანახატები მოძრაობაში • ფილმის ვიზუალური კონცეპტი					
გთხოვთ, წერილობით წარმოადგინოთ თქვენ მიერ მინიჭებული ქულების არგუმენტაცია					

ხელმოწერა ----------

თარიღი ----------

დანართი №2	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12
სცენარის შეფასება												
რეჟისორის შეფასება												
პროდიუსერის შეფასება												
პერსონაჟები და ფილმის ვიზუალური კონცეპტის შეფასება												
	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0

#	პროექტები	A
2/3-1		**0**
2/3-2		**0**
2/3-3		**0**
2/3-4		**0**
2/3-5		**0**
2/3-6		**0**
2/3-7		**0**
2/3-8		**0**
2/3-9		**0**
2/3-10		**0**
2/3-11		**0**
2/3-12		**0**